შრომის კულტურა - ბიბლიური და თანამედროვე ხედვა

თეზისები

1. ბიბლიაში ადამიანის შრომისადმი დამოკიდებულებაწარმოდგენილია, როგორც ადამიანური ყოფისათვის აუცილებელი ელემენტი. ადამიანის არსებობისათვის შრომის აუცილებლობა ჯერ კიდევ სამოთხისეული გარემოს შესახებ გადმოცემულ თხრობაშია მოცემული. ადამიანის ძირითადი მისია, განიღმრთოს, ვერ შესრულდება თუ ის, სხვა ყველაფერთან ერთად, შრომას შეწყვეტს;
2. ღმერთსა და ადამიანს შორის ურთიერთობა მხოლოდ ბიბლიაში არ არის მოცემული; წარმართული რელიგიებიც საუბრობენ ღვთაებათა და ადამიანთა ურთიერთობების შესახებ, თუმცა, სხვა ელემენტებთან ერთად, საინტერესოა ის, რომ თუკი ბიბლიაში ადამიანისათვის განკუთვნილი შრომა მისივე სულიერი წარმატებისათვის არის საჭირო, წარმართულ რელიგიაში ადამიანი თავიდანვე იქმნება იმისათვის, რომ შრომით დაიტანჯოს. თუკი ბიბლიაში შრომა ტანჯვასთან ცოდვით არის გაშუალებული, წარმართულ რელიგიებში ადამიანი თავიდანვე ამ ტანჯვასთან არის ნაზიარები. შესაბამისად, შრომის ეს ელემენტიც კი კარგად გვიჩვენებს ბიბლიური ღმერთის სიწმინდეს და იმ ჭეშმარიტებას, რომ ის არის სიყვარული;
3. რამდენადაც ადამიანის სამოთხისეული ყოფა წარმოუდგენელია შრომის გარეშე, ამიტომ ადამიანური შრომა სამოთხეში ამავე გარემოს პირობებში უნდა იქნას გააზრებული. რამდენადაც სამოთხისეული ყოფა უცოდველობასა და ღმერთთან სიახლოვეს გულისხმობს, ამიტომაც სამოთხისეული შრომა გაიაზრება როგორც სიამოვნების მომნიჭებელი, რაც ადამიანის სამოთხისეულ ნეტარებასთან სრულ ჰარმონიაში იყო;
4. რამდენადაც ბიბლია ადამიანის შრომის შესახებ საუბარს იწყებს ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როდესაც ღვთის შემოქმედების ეს გვირგვინი ჯერ კიდევ ცოდვას არ იყო დაქვემდებარებული, ამდენად ჩნდება კითხვა: რა სახის შრომაზე საუბრობს ბიბლია, როდესაც ადამიანის სამოთხისეული ყოფის შესახებ იუწყება?
5. ღმერთსა და ადამიანს შორის არსებული ის ურთიერთობა, რაც ბიბლიაშია წარმოდგენილი, ადამიანის სამოთხისეულ შრომას გვააზრებინებს, როგორც თვითშემოქმედების პროცესს, რომელიც ღმერთთან განუწყვეტელი ურთიერთობის შედეგად ადამიანის მთავარი მისიის შესრულებისათვის იყო დადგენილი. ეს შემოქმედებითი პროცესი იმ შრომის განუყოფელი ნაწილია, რომლის ტვირთვაც დაევალა ადამიანს და რასაც გარკვეული ძალისხმევა ჭირდებოდა.აღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის ცოდვით დაცემა შეიძლება განვიხილოთ როგორც ადამიანის მიერ უარის თქმა შრომითი

ძალისხმევის გარეშე სულიერი სრულყოფილების მიღწევაზე. ცოდვით დაცემა არის ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ შრომის, ძალისხმევის გაწევის გარეშეც, იოლი რამ საშუალებებით არის შესაძლებელი იმ მიზნის მიღწევა, რა მიზანთანაც ის შრომის შედეგად უნდა მისულიყო.

6. სამოთხის მიღმა აღმოჩენილ ადამიანს, რომელიც დაექვემდებარა ცოდვას, მთელი თავისი საშინელი შედეგებით, საცდურად ექცა იოლი შრომის სურვილი. ერთის მხრივ, ეს გასაგები ხდება, თუ დავუკვირდებით ბიბლიაში წარმოდგენილ განაჩენს ცოდვით დაცემული ადამიანისათვის შრომის დამძიმების შესახებ, თუმცა ამ სურვილის რეალიზაცია ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა მანკიერების განვითარებას უწყობს ხელს.თუკი სამოთხეში შრომა სიხარულის მიმნიჭებელი იყო ადამიანისათვის, სამოთხის მიღმა ის საარსებო საშუალებათა მოპოვების ფუნქციას ასრულებს. ცოდვით დაცემული ადამიანი კი, რომელიც შრომის შემსუბუქებას ესწრაფვის, დროთა განმავლობაში ეჩვევა და მისაღებად მიაჩნია ყველა ის გზა და საშუალება, რაც მას არა მარტო საარსებო საშუალებას მოაპოვებინებს, არამედ მატერიალურად გააძლიერებს კიდეც. ეს ძლიერება კი სულიერად დაცემული ადამიანის ხელში მხოლოდ სხვათა ჩაგვრისა და შეურაცხყოფის საშუალებად იქცევა;
7. თუკი სამოთხეში ადამიანის მისამართით გაჟღერებული გამრავლების კურთხევის გვერდით შრომითი ღვაწლის ვალდებულება დგას, ცოდვით დაცემის შემდეგ ეს პარალელები არ ირღვევა: შრომაცა და გამრავლებაც ადამიანის ვალდებულებად რჩება, მხოლოდ ორივეს თანამდევად ტკივილი და ტანჯვა ჩნდება;
8. ბიბლია დიდ ყურადღებას უთმობს იმ სულიერი სნეულების განხილვას, რაც ცოდვამ მოუტანა ადამიანს, რომელთა შორის, ცხადია, პირველი ადგილი ამპარტავნებას უჭირავს. ბიბლიის თხრობის თავისებურება იმას გულისხმობს, რომ ამ ძირითადი სულიერი მანკის გამოვლინებას წმინდა წერილი შრომისადმი თავის არიდებაში ხედავს და შესაბამისად, ამპარტავნობაზე გამარჯვების ქმედით საშუალებად შრომას სახავს.
9. მიუხედავად იმისა, რომ შრომა სულიერი მანკიერების დაძლევის ქმედით საშუალებად არის წარმოდგენილი, ბიბლია კაენისა და აბელის, ლაბანისა და იაკობის მაგალითის მოთხრობით მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან შრომის მიზანს, ერთის მხრივ, როგორც სხვისი დაჯაბნვისა და სხვაზე უპირატესობის მოპოვების და, მეორეს მხრივ, როგორც სულიერად ზრდის საშუალებას;
10. თანამედროვე პერიოდში შრომის შესახებ საუბრისას ძირითადად ეყრდნობიან ფილოსოფიურ პრინციპს condition humaine, რაც ადამიანური არსებობის პირობების გათვალისწინებას გულისხმობს. იმდენად, რამდენადაც ეს ყოფა განიხილება აქ და ამჟამად. ამგვარი მიდგომით ყურადღების მიღმა რჩება ის, რომ ადამიანური ყოფა მხოლოდ მატერიალური ბარაქის დაგროვებას არ გულისხმობს - ადამიანისათვის აუცილებელია სულიერი საგანძურის

დაგროვებაც. შესაბამისად, ხშირად ხდება ადამიანური შრომის მხოლოდ იმ კუთხით დანახვა, რაც მას მატერიალურ სარგებელს მოუტანს. არ ხდება შრომის გააზრება, როგორც ადამიანის სულიერი დახვეწის საშუალება;

11. ადამიანის ცოდვით დაცემული ბუნება შრომისადმი დამოკიდებულებაშიც ვლინდება. მისი შრომისადმი დამოკიდებულება ცვალებადია. თუკი თავიდან ის შრომას სიხარულითა და ერთგვარი შემართებით იწყებს, შემდგომ დგება დაღლის მძაფრი შეგრძნება და ბოლოს შრომისათვის თავის დანებების საშუალებების ძებნა, რაც უშრომელად ისევ იმ მატერიალური უზრუნველყოფის მიღებას გულისხმობს, რაც შრომის დროს გააჩნდა. ასეთი მდგომარეობა ადამიანის ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს;
12. თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ადამიანის შრომისადმი ჯანსაღ დამოკიდებულებას განსაზღვრავს მისი საზოგადოებასთან ურთიერთობა. იმისათვის კი, რომ ადამიანი შრომისაგან არ განიდრიკოს, აუცილებელია სამართლიანი საზოგადოების შენება, სადაც დაბალანსებული იქნება სხვადასხვა ადამიანის ინტერესები. ამ ინტერესების დასაბალანსებლად სხვადასხვა საშუალება არის წარმოდგენილი, თუმცა მხედველობაში არ არის მიღებული ის, რომ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ადამიანის სულიერი ძალების მობილიზება, რაც ბიბლიური ფასეულობების ცხოვრებისეულ პრინციპად აღიარების გარეშე შეუძლებელია.